# ბორჯომი

22 ივნისი
ხუთშაბათი
2023 წელი
№26 (9288)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან


## ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის უზრუნველსაყოფად



**პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის მზადებასთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა.**

როგორც მთავრობის მეთაურმა შეხვედრაზე აღნიშნა, ფესტივალისთვის მზადება იწყება და ამისათვის ბიუჯეტიდან 100 მილიონი ლარი გამოიყოფა.

პრემიერის თქმით, ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის უზრუნველსაყოფად თბილისსა და ბაკურიანში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოეწყობა, კერძოდ, ბაკურიანში - ბიატლონის და თხილამურებით რბოლის მოედანი, ასევე თბილისში აშენდება ყინულის სასახლე და სხვა ინფრასტრუქტურა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, წელს 25 მილიონი ლარი უკვე გამოყოფილია.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ვიცე-პრემიერი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკიანი,** ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი,** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **ირაკლი ქარსელაძე,** მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი **რევაზ ჯაველიძე,** კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე **იოსებ ბაღათურია,** მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელი **დავით ტაბიძე,** საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი,** ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **მამუკა ხაზარელი** და ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე **ეკატერინე ორჯონიკიძე** ესწრებოდნენ.

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**20 ივნისს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი უძღვებოდა.**

**დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №95 დადგენილებაში.**

**ასევე ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის 2023 წლის სოციალური დახმარების პროგრამის და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 23 დეკემბრის №96 დადგენილებაში.**

**ცვლილები შეიტანეს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარო ქვითრისა და საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 მაისის №26 დადგენილებაში.**

**იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლების ყვიბისის და ტბის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე სოფლების (ყვიბისი, ბეშეთი, ვარდგინეთი, ტბა, სადგერი, ცემი, პატარა ცემი, ლიბანი) დამისამართების შესახებ.**

**მოისმინეს ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი „ტაო“-ს დირექტორის ირაკლი გვენეტაძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.**

**ასევე მოისმინეს ა(ა)იპ ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“-ს დირექტოორის ნანა ბენდელიანის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

**ა(ა)იპ „ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულები“-ს დირექტორის ოლია ოგანეზოვის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

**დეპუტატებმა დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის III კვარტალის სამუშაო გეგმა.**

## შეხვედრა ტრენინგ-ცენტრის გამარჯვებულებთან



**ა(ა)იპ** „ჩვენი ბორჯომისათვის“ ორგანიზებით, სასტუმრო „ბორჯომი-ლიკანში“ ღონისძიება გაიმართა.

ტრენინგ-ცენტრის მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას აღნიშნული ცენტრის და ახალგაზრდული საკრებულოს საქმიანობა გააცნეს. შემდეგ კი, მათ მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებული მონაწილეები დააჯილდოვეს.

ღონისძიების დასაწყისში, სასტუმროს ფოიეში ტრენინგ-ცენტრთან არსებული „არტ-სახელოსნოს“ მოსწავლეების ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.

ღონისძიებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მერი **ოთარ არბოლიშვილი,** „IDS ბორჯომი საქართველოს“ გენერალური დირექტორი **ივანე მაჭავარიანი** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საპატიო სტუმრებს ტრენინგ-ცენტრისაგან მადლობის სიგელები გადაეცათ.

პროექტი ბორჯომის მუნიციპალიტეტისა და „IDS ბორჯომი საქართველოს“ მხარდაჭერით ხორციელდება.

## „ბორჯომი“ - მაცოცხლებელი წყალი, ჩვენი ლეგენდა

**ქართული** მინერალური წყალი „ბორჯომი“ ახალ საკომუნიკაციო კამპანიას იწყებს, რომელშიც ბრენდი „ბორჯომის“ აღმოჩენის ლეგენდას, ქართულ კულტურას და წყლის უნიკალურ, გამაჯანსაღებელ თვისებებს მთელ მსოფლიოს აცნობს. მაყურებელს კი საქართველოს გარშემო, დროში და ჯადოსნურ სამყაროში ამოგზაურებს. **„მაცოცხლებელი წყალი, ჩვენი ლეგენდა“** - კამპანიის მთავარი გზავნილია.

ახალ კომუნიკაციაში ასახულია სამი ეპოქა - მითიური, რომელიც „ბორჯომის“ აღმოჩენის ლეგენდას გვიამბობს; 1890-იანი წლები, როდესაც „ბორჯომის“ საწარმოო წესით ჩამოსხმა დაიწყო და თანამედროვე ეპოქა. სამივე პერიოდი „ბორჯომის“ მაცოცხლებელ ძალასა და პირველი ქართული მინერალური წყლის მრავალ-




წლიან ისტორიაზე გვიყვება, რომელიც დღეს უკვე ეროვნული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია.

ვიდეორგოლი გვიამბობს ლეგენდას მონადირეზე, რომელმაც „ბორჯომის“ იუვენილური წყალი აღმოაჩინა, იხილა, თუ როგორ განკურნა წყალმა დაჭრილი ირემი და ეს ამბავი თაობებს გაუზიარა.

ქართველი მსახიობი, **თინა დალაქიშვილი** მსოფლიო კინოს ვარსკვლავს - **ვინსენტ პერესს** სწორედ ამ ლეგენდას უამბობს. შვეიცარიაში დაბადებული ფრანგი მსახიობი ბრენდის ახალ საკომუნიკაციო კამპანიას, „ბორჯომის“, როგორც ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათის და სიამაყის მთელი მსოფლიოსთვის გასაცნობად შემოუერთდა.

**ვინსენტ პერესი, მსახიობი:** –საქართველოში ჩამოსვლაზე დიდი ხნის განმავლობაში ვოცნებობდი. ქართველ ხალხს ძლიერი ავთენტურობა აქვს, ძალიან თბილები, მიმღებლები და გულუხვები არიან. მიხარია, რომ აღმოვაჩინე ეს ქვეყანა მისი ხალხით, ხელოვნებით და ულამაზესი პეიზაჟებით. საქართველოში ჩამოსვლა განაპირობა, მინერალური წყალი - „ბორჯომის“ ახალმა სარეკლამო კამპანიამ, რომლის ერთ-ერთი მონაწილე მეც ვარ. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ჩავერთე სარეკლამო რგოლის გადაღებაში, რაც ჩემთვის ძალიან საინტერესო გამოცდილებაა. ეს იყო ძალიან კარგი შესაძლებლობა, ქართველ ხალხსა და საქართველოსთან ურთიერთობა დამეწყო. საინტერესო და შთამბეჭდავი დასანახია, თუ როგორ შეუძლია მინერალურ წყალს, ბუნების საჩუქარს, მიჰყვეს ქვეყნის ისტორიას და მის განუყოფელ ნაწილად იქცეს. იმედია, მაყურებელიც ისევე ისიამოვნებს ამ სარეკლამო რგოლით, როგორც მე ვისიამოვნე ამ თანამშრომლობით.

**ვახტანგ ანთაძე, „ბორჯომის“ გლობალური ბრენდ დირექ-**




**ტორი:** - საქართველო, ევროპა და ცენტრალური აზია კვლავ რჩება „ბორჯომის“ მთავარ სტრატეგიულ ბაზრებად, შესაბამისად, ბრენდს სჭირდებოდა ახალი საკომუნიკაციო კამპანია, რომელიც გააძლიერებს მის პოზიციებს და ამავდროულად, ახალ ბაზრებზე შესვლის შესაძლებლობას მოგვცემს. ქართველებს გვიყვარს და გვეამაყება იმაზე საუბარი, რაც ქართულ იდენტობას გამოხატავს. „ბორჯომს“, როგორც მაცოცხლებელ წყალს და თავად ლეგენდას, ჩვენი ქვეყნის საერ-




თაშორისო მასშტაბით წარდგენისას, ასეთი გადამწყვეტი როლი ხშირად აქვს. შესაბამისად, მჯერა, რომ ვინსენტ პერესთან და სხვა ცნობილ ადამიანებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ „ბორჯომისთვის“, არამედ მთელი საქართველოსთვის. ამ ფორმით ჩვენ ქართულ კულტურას მთელ მსოფლიოს ვაცნობთ.

**დავით იაშვილი, „ბორჯომის“ გლობალური კომუნიკაციებისა და კონტენტის მენეჯერი:** - გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ „ბორჯომი“ თავისი ისტორიის განმავლობაში მაცოცხლებელ ენერგიას გვაძლევდა. ესაა პროდუქტი, რომლითაც თითოეული ქართველი ამაყობს და ცდილობს, რომ მის შესახებ უამბოს ყველას, გააცნოს მისი ისტორია, გაუზიაროს „ბორჯომის“ უნიკალური გემო და მაცოცხლებელი ძალა. სწორედ ამიტომ, ახალ კამპანიაში წარმოვადგინეთ „ბორჯომი“, როგორც ქართული იდენტობის და ჩვენი ქვეყნის კულტურის განუყოფელ ნაწილი.

სარეკლამო რგოლსა და საკომუნიკაციო კამპანიაზე ქართული კრეატიული სააგენტო „ლივინგსტონი“ მუშაობდა.

**ლევან ლეფსვერიძე, სარეკლამო სააგენტო „ლივინგსტონის“ თანადამფუძნებელი და შემოქმედებითი ხელმძღვანელი:** - „ბორჯომი“ ჩვენთვის ძალიან სიმბოლური ბრენდია, რადგან წლების წინ „ლივინგსტონმა“ პირველი ჯილდო სწორედ „ბორჯომის“ გრიფით მოვიგეთ. გარდა ამისა, ის ერთადერთი ქართული ბრენდია, რომელიც საუკუნეებია ქვეყნის სავიზიტო ბარათის სტატუსს ინარჩუნებს. სწორედ ამიტომ, კამპანიაშიც ვცადეთ, რომ „ბორჯომი“, როგორც ეროვნული სიამაყე, ყველაზე ავთენტური, ქართული გზით გვეჩვენებინა.

ვიდეორგოლში ჩვენი გამორჩეული მრავალხმიანობის - „წინწყაროს“ გათანამედროვებული ვერსიის ფონზე, ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილების“ მოცეკვავეები, ეროვნული ქორეოგრაფიული საგანძურის რამდენიმე ცეკვას ასრულებენ, რომელიც სპეციალურად „ბორჯომის“ სარეკლამო რგოლისთვის „სამაიას“, მონადირეებისა და სხვა ცეკვების ინსპირაციით შეიქმნა. მუსიკის ეს ვერსია სპეციალურად ამ კამპანიისთვის სტუდია „პოსტრედმა“ დაწერა.

გადაღებები ბორჯომის ხეობის გარდა, სვანეთში, ყაზბეგში, კახეთში, მცხეთასა და თბილისში მიმდინარეობდა. ქართული მინერალური წყლის ისტორიული მნიშვნელობის და ჩვენი ქვეყნის მემკვიდრეობის უკეთ გასაცნობად, სარეკლამო რგოლი საქართველოს გარდა, ევროპისა და ცენტრალურ აზიის ქვეყნებში გავა. სპეციალურად ახალი საკომუნიკაციო კამპანიისთვის შეიქმნა ვებგვერდი - borjomi.com.

გაეცანით „ბორჯომის“ მრავალწლიანი ისტორიის სხვადასხვა ეპოქას და ყველას გაუზიარეთ უნიკალური წყლის მაცოცხლებელი ძალა.

# შრომა კაპიკების სანაცვლოდ

**ზაფხულის** სეზონის პარალელურად იმატა გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობამ, თუმცა შემოთავაზებული ანაზღაურების სანაცვლოდ უამრავი საქმის კეთება ევალება ვაკანსიაზე დასაქმების მსურველებს, რომლებიც სამუშაო დღის ბოლოს მიზერული თანხის სანაცვლოდ იღებს ჯანმრთელობის პრობლემების ჩამონათვალსა და სტრესს. ვიტყოდი, რომ ტრენინგები და აუცილებელი გადამზადება პირველ რიგში რესტორნებისა და სასტუმროების მეპატრონეებს სჭირდებათ კომპეტენტრური ადამიანებისგან, ან სულაც ეჭვი მაქვს, რომ გადამზადდნენ, მაგრამ ვერაფერი შეისმინეს, ანუ მოისმინაც, რომ არ ეკუთვნით. დამსაქმებლის პირობები, ბევრად მიმზიდველი ჩანს თავდაპირველად, სამსახურში მოწყობის შემდეგ კი ტრადიციულად იზრდება სამუშაო პირობები და ანაზღაურება მომატების ნაცვლად სტაბილურად იგივე რჩება თან დართული, ბონუსად მფლობელის წუწუნით, რომ გადასახადები ბევრია და დაპირებული სამუშაოს ანაზღაურება სეზონზე გაზრდილიყო, შეუძლებელია.

მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა გასულ კვირას ჩვენი რესპონდენტი **ნინო კურტანიძე,** რომელმაც მუშაობა ერთ-ერთ საცხობში დაიწყო და უამრავი საქმის პარალელურად დაპირებული თანხაც ვერ მიიღო. საქმეს კი ტრადიციულად ბოლო არ უჩანდა. მიატოვა აღნიშნული ობიექტი და უარი თქვა შეესრულებინა კაპიკების სანაცვლოდ უამრავი დაუსრულებლად ბევრი საქმე. მეპატრონეებმაც იციან, ასე ენთუზიაზმით სავსე მოქალაქე კიდევ გამოჩნდება, რომელიც დღეში 10, ან 15 ლარად ყოვლად წარმოუდგენელ საქმეს შეასრულებს და გაძლებს რამდენიმე თვე, მერე ისევ ასე გაგრძელდება, უფროსი კმაყოფილი დაითვლის შემოსავლებს, ხოლო ამ ყოფით დაღლილი მოქალაქეების უმრავლესობა, ახლა საზღვრებს გარეთ დაიწყებს ბედის ძებნას.

- კანონი კანონობსო, შესაძლებელია გითხრათ ბიზნესის წარმომადგენლებმა, 8 საათიანი სამუშაო განრიგი შემოგთავაზონ, გაიფიქროთ, რომ იდეალური პირობებია. მერე ხვდებით, რომ დრო არ არის შესვენებისთვის, დრო არ გაქვს წყლის დალევისთვის და შესვენებაზე შესაძლებელია საათის ისრებს ყველაზე მეტად დაუმეგობრდე.

ეს სისტემა სერიოზულ კონტროლს საჭიროებს. სამარცხვინოა, საკუთარ მოქალაქეებს ასე ექცეოდე. თუ მფლობელი უცხოელია, ზუსტად ანალოგიურად ექცევა ჩვენს მოქალაქეებს, არ გინდა, წადი. სამწუხარო რეალობაა, რომელზეც ხმამაღლა დასაქმებულები არ საუბრობენ. ასე პირად საუბრებში დარწმუნებული ვარ, ბევრი გვესმის და არა ერთმა ბორჯომელმა მთხოვა დამეწერა ამ პრობლემაზე, რომელსაც საბოლოოდ ადამიანის უპატივცემულობამდე მივყავართ, არა მხოლოდ დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ, რომელიც უკვე დამცირების ტოლფასია, არამედ უფროსთა გაუთავებელი ხხელმძღვანელთა და არა მენეჯერული სწორი სტრატეგია თანამშრომლებთან მიდგომისას. ხშირ შემთხვევაში მათ არა მარტო ობიექტის, არამედ ყველაფრის ბატონ-პატრონი ჰგონიათ თავი. არ ვიცი ადამიანობა თუ ისწავლება, მაგრამ როდესაც მსგავს ბიზნესს ფლობ, უნდა შეგეძლოს სხვის მდგომარეობაში წარმოიდგინო საკუთარი თავი, თქვენ თუ იმუშავებდით შეთავაზებულ დაბალ ანაზღაურებაზე უამავი საქმის სანაცვლოდ.

მეგობრის მამა გახარებული იძახდა, რომ უნდა დამტკიცდეს საქართველოშიც საათობრივი ანაზღაურება. მოხარული ვიქნები, თუ ასე იქნება. დიდიხანია ასეა ევროპასა და ამერიკაში, სადაც ანაზღაურება საათობრივად ეძლევა დასაქმებულებს. ვიმედოვნებ, ქართველებისთვის აღნიშნული წინადადება ძალაში მალე შევა და მომსახურების სფეროში დასაქმებული ქალბატონები შრომის შესაბამის ანაზღაურებას მიიღებენ. თქვენც მესმის ბატონი, ჩემი ლექტორისა არ იყოს „კეისარს კეისრისა"; დიასახლისს დიასახლისობისა, და მზარეულს მზარეულობისა, დროის და დახარჯული ძალების შესაბამისი მაინც, თორემ ამ ანაზღაურებით რომ არავინ გამდიდრებულა და მხოლოდ საარსებოა, უკაცრავად, საარსებოც აღარაა, თქვენზე უკეთ ვინ იცის. და მაინც როდის იყო მთა-ბარი გასწორებულაო, ბრძენ კაცს უთქვამს და ასეცაა.

დიახ, ბორჯომის რეალობაში ისეთი ფაქტის მომსწრეც გავხდი, რომ დამსაქმებელმა მოქალაქეს მისი კუთვნილი თანხა არ გადაუხადა, რადგან უარი უთხრა არადამიანური პირობებში მუშაობის გამო და სამსახური დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ შემოსავალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მისთვის და 200 ლარი დღემდე არ გადაუხდია მეპატრონეს. ამ ახალგაზრდა ბიჭმა დღეს სხვა დაწესებულებაშიო დაიწყო მუშაობა და ამ შემთხვევაში მადლიერი და კმაყოფილია, წინა სამსახურის ფონზე. ასე, რომ ისწავლეთ მოქცევის და ადამიანობის ნორმები, ყოველთვის თქვენ არ ხართ მართლები და არ დაივიწყოთ, იმქვეყნად არაფერი მიგაქვთ და სამუდამო არაფერია ამქვეყნად. კუთვნილი თანხა მაინც გადაუხადეთ და თუ ამას კითხულობ და საკუთარი თავი ამოიცანი, მიზანი მცირედ მაინც მიმიღწევია.

და თვეების წინ ბაკურიანში სტუდენტებს დასაქმებას სთავაზობდა ერთ-ერთი სასტუმროთა ქსელი, საოცარია მაგრამ მათზე მორგებული გრაფიკით. ასეთი ტექსტით:

მოგესალმებით სტუდენტებო!

წინსვლის და წარმატებების წელი ყოფილიყოს 2023 თქვენთვის.

მინდა გაგახაროთ სასიამოვნო ინფორმაციით (ეს სიახლე განსაკუთრებით მათთვისაა, ვინც დასაქმებაზეა ორიენტირებული).



„ბაკურიანი ინნ დაბა ბაკურიანში წარმოდგენილია ორი პროექტის სახით: სასტუმრო ბაკურიანი ინნ და ბაკურიანი ინნ აპარტამენტები.

ორივე პროექტში აქვთ სტუდენტთათვის მოქნილი სამუშაო გრაფიკები და რეგიონში, კონკურენტ კომპანიებთან შედარებით მოწინავე ანაზღაურება.

ამჟამად ვაკანტური ადგილები არის გარკვეულ პოზიციებზე.

კომპანია დასაქმებულს უზრუნველყოფს: საცხოვრებლით, ორჯერადი კვებითა და სატრანსპორტო ხარჯით.

ასევე კომპანიას აქვს უნიკალური შემოთავაზება აფინანსებენ სწავლის საფასურს სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებული სწავლის ტარიფის შესაბამისად.

სასიამოვნო სიახლეა, თუმცა დარწმუნებული ვარ ერთგვარი მიზანი და მიზეზიც ექნება მსგავსი შეთავაზების მხრივ კომპანიას. ამას დასაქმებულები თავად მიხვდებოდნენ და რეალობის წინაშეც დადგებოდნენ.

მოამზადა **იზა იანვარაშვილმა**

# კიდევ მეტი კულტურა და სისუფთავეა საჭირო

**ბორჯომში საკურორტო სეზონი 1 ივნისს ოფიციალურად გაიხსნა. შეინიშნება დამსვენებელთა მომატებული ნაკადი. დამსვენებლებისა და ტურისტების განსაკუთრებულ ინტერესს ცენტრალური ისტორიული პარკი და ისტორიული ძეგლები წარმოადგენს, რომელიც ასე მრავლადაა ჩვენ რაიონში. კიდევ რა მოსწონთ ჩამოსულ სტუმრებს და რას შეცვლიდნენ ტურისტულ ქალაქში გაზეთმა „ბორჯომმა" გამოკითხვა ჩაატარა ქუჩებში:**



**ლინდა ესართია:** – ბორჯომში სამი წელია ჩამოვდივარ. საოცარი ბუნება და ჰაერია.მინერალურ წყალზე ხომ აღარ ვსაუბრობ. ცენტრალურ ისტორიულ პარკთან ახლოს ვქირაობ ბინას ყოველთვის და დილა-საღამოს ფეხით ვსეირნობთ. ის, რაც თვალში მომხვდა, არის ის, რომ უამრავი მცენარეა დარგული, პარკი გალამაზებულია, თუმცა ჰიგიენურ წესრიგზე ამას ვერ ვიტყოდი. ცხენები პირდაპირ პარკში დადიან და მათი ფეკალიებითაა სავსე პარკის ტერიტორია... გავლა შეუძლებელია ისეთი საშინელი სუნი დგას... ასეთ ტურისტულ ზონაში უბრალოდ ეს არ უნდა ხდებოდეს.

**თემურ მაისურაძე:** – მახარებს ჩემ ქალაქში არსებული ყველა სიკეთე, ის რაც წლიდან წლამდე კეთდება არ უნდა დავუკარგოთ ხელისუფლებას. უბრალოდ ახალგაზრდობაში ცოტა ნაკლები კულტურაა იმასთან დაკავშირებით, რომ არ დააზიანონ ბაღ-პარკებში არსებული ინსფრასტრუქტურა. თვალში საცემია დაზიანებული სკამები, სავარჯიშო ტრენაჟორები, განათების სისტემა და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი რამ... ცოტა მეტი კულტურა არ გვაწყენდა ამ მხრივ.

**ინგა ლომიძე:** - მე პირადად, ბორჯომი ყველანაირი მიყვარს, გაკეთებულსაც ვხედავთ და გასაკეთებელსაც. წლიდან წლამდე ბევრი რამ კეთდება, მაგრამ უნდა აღვნიშნო საპირფარეშოს პრობლემა, რომელსაც არ დაადგა საშველი ტურისტულ ზონაში ყველგან უნდა იყოს მოწესრიგებული საპირფარეშო, მაგრამ ამაზე არავინ ზრუნავს, რაც ძალიან სამწუხაროა.

**სვეტლანა სალამატინა:** - ბორჯომში მეორე წელია ჩამოვდივარ და მოხიბლული ვარ აქაური ჰაერით, მინერალური წყლით, ბუნებით. ისტორიული პარკი ხომ საოცრებაა. ყველაფერი მომწონს, ვხედავ წინა წელთან შედარებით ბევრი ახალი რამაა გაკეთებული. განსაკუთრებით მომეწონა პატარა პარკიც.

**ნუგზარ მიქელაძე:** - პარკი ცხენების თავლადაა გადაქცეული. ერთია საცხენოსნო ტურიზმი განავითარო და მეორეა, იმას ვერ არკვევდე, სად ატარო ცხენები. გაოგნებული ვარ, რამდენჯერაც პარკში მოვხვდი, იმდენჯერ ფეხით მოსიარულეთა სავალ ნაწილზე დაარბენინებენ ცხენებს, დიახ, დაარბენინებენ. რამდენიმე დღის წინ ჩემ წინ ოჯახი მიდიოდა, ბავშვი მიყავდა მამას ხელჩაკიდებული და ცხენმა კინაღამ ბავშვს გადაუარა. თვალის შევლება ველარ მოვასწარით, ისეთი ძალით მოაქროლებდა ახალგაზრდა ბიჭი. მშობლებიც გაოგნებულები დარჩნენ და პირადად მეც. ეს ალბათ პარკის ადმინისტრაციის მოსაგვარებელია, აბა სხვამ ვინ უნდა მოაგვაროს, როდესაც შენ გამგებლობაში არსებულ სივრცეში ცხენები დადიან და საფრთხეს უქმნიან დამსვენებლებსაც და თან ტერიტორიასაც აბინძურებენ, აუცილებლად გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ.

**მთვარისა ჩუტკერაშვილი:** -ბევრი რამე კი გაკეთდა და დღესაც კეთდება, მაგრამ ვინც კი ჩამოდის ზაფხულის პერიოდში, ყველა საპირფარეშოზე წუხს, სადაც არის, ისიც არაა მოწესრიგებული. ცოტა მეტი სისუფთავეა საჭირო და კიდევ მეტი კულტურა, რომ გაკეთებულს მოვუფრთხილდეთ.

**გაზეთი „ბორჯომი"**

# ბაკურიანის №8 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფცია

**სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში, ამხანაგობა „დიდველი რეკრეაციის" მიერ წარმოდგენილ იქნა ბაკურიანის გენერალური გეგმით დადგენილი №8 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფცია. აღნიშნულის შემუშავების საჭიროება განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმებით.**

**დაგეგმვის მიზანია გენერალურ გეგმაში არსებული სათხილამურო ტრასის, საბაგიროს, მისასვლელი გზების და ღია სივრცეების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს მოწესრიგებული გეგმარებითი ერთეულები.**

**მე-8 საპროექტო არეალის განვითარების სამომავლო ხედვა ითვალისწინებს თავდაპირველად შეზღუდვების - სათხილამურო ტრასის, საბაგიროს გასხვისების ზონისა და მდინარის დაცვის ზოლების დადგენას, საპროექტო ტერიტორიის ორივე მხარეს. ასევე არსებული გზის (საბაგიროსკენ მიმავალი) შენარჩუნება-გაუმჯობესებას. შემდეგ ეტაპზე მოხდება დარჩენილი ტერიტორიის თავიდან დაგეგმარება, ახალი გზების დამატება და რეკრეაციული ზონების გაჩენა.**

**საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე და 43-ე მუხლების საფუძველზე, აღნიშნული პროექტი ექვემდებარება საჯარო განხილვის პროცედურებს.**

**№8 საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფციის პროექტის საჯარო განხილვა დაიგეგმა 2023 წლის 31 ივლისს, 13:00 საათზე, მისამართზე - ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ბაკურიანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №5.**

**განხილვაზე დასწრება, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. საჯარო განხილვის დროს ხელმისაწვდომი იქნება ბაკურიანის №8 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფციასთან დაკავშირებული ელექტრონული დოკუმენტაცია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელი იქნება საჯარო განხილვიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, არაუგვიანეს 2023 წლის 21 აგვისტოსი, სსიპ - სივრცითი ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე:** sajaro.gankhilvebi@suda.gov.ge

# ამმავი მოსაცდელიდან

**ახლადკეთილმოეწყობილ** მოსაცდელზე, რომელიც საერთოდ არ ჰქონდა საზოგადოებას ბორჯომში, როდესაც ახალციხისკენ მიმავალ ტრანსპორტს ელოდებოდა და წვიმასა თუ თოვლში ღია ცისქვეშ უწევდა ე.წ. ლოდინი, რამდენიმე თვეა, რაც მოეწყო მიმდებარე ტერიტორია და მოსაცდელი, ადგილობრივებს და ტურისტებს აღარ უწევდათ ქოლგის ქვეშ დგომა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოლოდინისას. გასულ კვირას გაჩერებისკენ მივდიოდი და წვიმა დაიწყო, იმ წამს გავიფიქრე, რა კარგია მივალ და შევეფარები, სანამ ტრანსპორტი მოვამეთქი, მაგრამ ჰოი საოცრებავ, მოქალაქეებს ისევ თავზე აწვიმდათ. მინის სახურავის დიდი ნაწილი ჩამომტვრეული გახლდათ და ასე ბედნიერად მხოლოდ რკინის კონსტრუქციები გვიმზერდა კედელთან. შეფარებას აზრი არც ჰქონდა. შევნიშნე, როგორ მოუახლოვდნენ ტურისტები და ქოლგები გაშალეს, აქვე იცდიდნენ ადგილობრივი მოქალაქეებიც. მე კი 15 წუთის განმავლობაში მომიწია წვიმაში ჩემი მოსაცმელის იმედად დგომა ტრანსპორტის მოსვლამდე.



საშინლად იმედგაცრუებულმა გადავიღე ფოტო, ვიფიქრე ამ ვანდალიზმის შესახებ აუცილებლად დავწერდი. სპეციალურად თუ დაამტვრევდა აღნიშნულ სახურავს ზევიდან ვინმე, სადაც საპარკინგე ტერიტორიაა, თორემ ბუნებრივად ჩამომტვრეულიყო ყოვლად დაუშვებელია.

დაუსჯელი არ უნდა რჩებოდნენ ის პიროვნებები, რომლებიც მსგავს ქმედებებს სჩადიან. დავუშვათ, თუნდაც ის ფაქტი, რომ არავის დაუზიანებია და თვითონ დაიმტვრა, აქ უკვე საქმე ადამიანთა უსაფრთხოებას ეხება და ამასთან ზრუნვის ობიექტებს, მოქალაქეებს. ისევ წვიმაში, რომ არ მოუწიოთ და მომიწიოს ცდა, როდესაც საზოგდოებრივი ტრანსპორტით მგზავრობას გადავწყვეტ, საინტერესოა, ნეტავ, როდის გადაიხურება და მოწესრიგდება ისევ ე.წ. „მოსაცდელი", რომელმაც ფუნქცია რამდენიხნის წინ დაკარგა ზუსტად ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ დღეს ისევ გვაწვიმს მოსაცდელზე დგომისას.

**იზა იანვარაშვილი**

## თუ არაფერს აპირებენ! - მაშინ რატომ?

# ასეთ პირობებში ბორჯომი ვერ გახდება საკურორტო და ტურისტული ცენტრი?!



**ბორჯომის** ცენტრში დგას შესანიშნავი 9-სართულიანი შენობა, რომელიც კომუნისტების ხელისუფების წლებში აშენდა, მას ბორჯომელები ადმინისტრაციულ კორპუსს უწოდებდნენ. ამ შენობაში წლების მანძილზე თავმოყრილი იყო ადგილობრივი ხელისუფლების თითქმის ყველა სამსახური.

კომუნისტები ისტორიას ჩაბარდნენ. მას შემდეგ ჯერ ეროვნული ხელისუფლება მოვიდა, მერე მხედრიონელები უძღვებოდნენ რაიონს, ბოლოს ნაციონალებმა ქალაქსაც და ამ ლამაზ შენობასაც მოუღეს ბოლო, ცხრასართულიანი შენობა უპირობოდ ერთ ლარად გაყიდეს. ადგილობრივ ხელისუფლებას შენობა დააცლევინეს და სასტუმროდ გადაკეთების მიზეზით დაიწყეს შენობის რეკონსტრუქცია. ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბორჯომელებს გამოუცხადა: -სულ მალე ამ შენობაში 100 ადგილიანი სასტუმრო გაიხსნება და 100 ადამიანი დასაქმდებაო.

ქალაქის ადმინისტრაცია ჯერ ყოფილ მეორე სკოლაში გადაიყვანეს, მეორე სკოლის მოსწავლეები რესტრუქტურიზაციის მომიზეზებით მესამე სკოლას შეუერთეს. აგრარული ბაზარი გააუქმეს, ჩარხისწყალზე გადაიტანეს და სასწავლო წესით მუნიციპალიტეტრის სამსახურები იქ შეასახლეს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, თითქოს ყველაფერი დალაგდა, მაგრამ სხვადასხვა პატარ-პატარა დაწესებულებები, რომლებიც მოსახლეობას ემსახურებოდა, დღესაც ნაქირავებ ფართობებშია განთავსებულნი.

ყოფილი ადმინისტრაციული სახლის შენობაში დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები დიდხანს არ გაგრძელებულა, ორი თუ სამი სართული გაარემონტეს და როგორც კი „ქართული ოცნება“ მოვიდა ქვეყნის სათავეში, მშენებლებიც შარშანდელი თოვლივით გაქრნენ. მოსახლეობამ დღემდე არ იცის, ვინაა ამ ლამაზი შენობის პატრონი, რომელიც გარედან მტერს უბრმავებს თვალებს და შიგნიდან მოყვარეს. ამიტომაცაა, რომ ბორჯომელები ირონიით ამბობენ, ნეტავ ვიცოდეთ, ვისია ეს შენობა, შევახსენებთ მაინც ან იზრუნოს აღდგენისთვის, ან გაყიდოს, თვითონაც მოისვენოს და ჩვენს ნუ გვიშლის ნერვებსო.

ამ შენობის შესახებ ბევრჯერ დაიწერა, მაგრამ ხელისუფლებაში ორაზროვნად გაგვცეს პასუხი. შენობა კერძო საკუთრებაა და ვერ შევეხებითო, მაგრამ ისმის კითხვა, როდემდე უნდა იყოს დაკეტილი და გამოუყენებელი, თუმცა ასეთ დღეშია ბორჯომში ბევრი ობიექტი, ყოფილი სასტუმრო „ბორჯომის“ ტერიტორია, კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი, ტურბაზა - „პლატო“, ყოფილი საბაზო სანატორიუმი „ლიკანი“, რველში „ხორცკომბინატის“ შენობა, ახალდაბაში ყოფილი პიონერთა ბანაკები და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი გაპარტახებული შენობაა შემორჩენილი, რომლებიც ბევრმა კაპიკებში შეიძინა და ახლა მდიდარ ინვესტორს ელოდება, იქნებ სარფიანად გაყიდოს.

ისმის კითხვა? როდემდე უნდა იდგეს უმოქმედოდ ეს შენობები, რას ფიქრობენ მეპატრონეები ან ადგილობრივი ხელისუფლება, რატომ არაა დაინტერესებული ქალაქის იერსახის სრულყოფისათვის, 32 წელი გავიდა, რაც ჩონჩხად ქცეულ შენობებს მივჩერებივართ. სამწუხაროდ, არა მგონია ასეთი ნანგრევები და გაპარტახებული შენობები (მით უფრო ქალლაქის ცენტრში) სხვაგან ვერც კი წარმომიდგენია. კი მაგრამ, როდემდე ვუყუროთ ამ კლიტედადებულ და გაპარტახებულ ობიექტებს, მერედა, ასეთ პირობებში გახდება ბორჯომი საკურორტო და ტურისტული ცენტრი?!

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

## ისტორიის ლაბირინთებში

# ტრამპლიიერების საიდუმლო



მკვლევართა წინაშე სამი პასუხგაუცემელი კითხვა გაჩნდა: 1) საიდან იღებდნენ ტამპლიერები ვერცხლს, მაშინ, როცა ევროპის ტერიტორიაზე საბადოები ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი?

2) რად უნდოდათ ასეთი დაშორებული პორტი?

3) სად გაქრნენ უკვალოდ პარტიაში მყოფი ორდენის სიმდიდრით დატვირთული გემები?

ნორმანდიელმა ისტორიკოსმა ჟან დე ლა ვარანდმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ტამპლიერები ვერცხლს ღებულობდნენ ლაროშელის პორტში... მექსიკიდან. ბურგონიის ქალაქ ვარელაის ტამპლიერების ტაძრის ფრონტონის ფრესკაზე გამოსახულ ქრისტეს თავს ევლება მამაკაცი, ქალი და ბავშვი, რომლებსაც პროპორციულად დიდი ყურის ნიჟარები აქვთ. მამაკაცს აქვს ფრთებით შემოსილი ტანსაცმელი, რომელიც სამხრეთ ამერიკის ინდიელებისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო თავზე ახურავს ვიკინგების მუზარადი. ცნობილია, რომ ინკები ყურის ბიბილოს დასაგრძელებლად იყენებდნენ ოქროსა და სპილენძის რგოლებს. უეჭველია, რომ ორდენის რაინდებმა იცოდნენ ვიკინგების ამერიკის კონტინენტზე ყოფნის შესახებ.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ საფრანგეთის მუზეუმის არქივებში აღმოჩნდა 1307 წელს საფრანგეთის მეფის მიერ ჩამორთმეული ორდენის ბეჭდები, რომელთგან ერთ-ერთზე (დიდი მაგისტრის ბეჭედზე) არის წარწერა. ორდენის საიდუმლო ბეჭდის ცენტრში გამოსახულია მამაკაცი, რომელიც შეიძლება მხოლოდ სამხრეთამერიკელი ინდიელი იყოს. მას თვზე ფრთებით შეკრული თავსაბურავი ახურავს. მარჯვენა ხელში უკავია მშვილდი, რომლის ქვეშ გამოსახულია სვასტიკა ჯვარი, რომელიც გავრცელებული იყო სკანდინავიის ვიკინგებს შორის.

ტამპლიერებმა იცოდნენ ამერიკის კონტინენტის არსებობის შესახებ. ეს იყო მათი დიდი საიდუმლო . ისეთი საიდუმლო, რომლის შესახებ ორდენის პირველმა რაინდებმაც კი არ იცოდნენ.

ჩვენთის ცნობილია ამ საიდუმლოს წარმოშობა. X საუკუნეში უკვე 22 წელი გაატარეს მექსიკაში, სანამ პერუში გადავიდოდნენ და ტიაუანაკოს იმპერიას დააარსებდნენ. ირლანდიელებმა ამ დროისათვის უკვე მყარად აითვისეს ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი სანაპირო. XI საუკუნეში ნორვეგიელმა ვიკინგებმა თანამედროვე მასაჩუსეტსის შტატის ტერიტორიაზე კოლონიები შექმნეს, ისე რომ არ წყვეტდნენ სკანდინავიასთან კავშირს.

არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ მექსიკელმა ინდოელებმა დაახლოებით ათასი წელი იცოდნენ მეტალის დამუშავების ტექნოლოგია. სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ 967 წელს მექსიკას ეწვია ვიკინგი ულმანი. მანამდე ინდიელები ლითონის ნაკეთობებს არ ხმარობდნენ, ის არ ქონდა არც მაიას ტომს.

პერუში ცენტრალურ ამერიკასთან შედარებით მეტალურგია კარგად იყო განვითარებული. აქ ამუშავებდნენ ოქროს, ვერცხლს, სპილენძს, ბრინჯაოს და თვით პლატინასაც. მათ შეეძლოთ ლითონის გადადნობა, შედუღება და ფორმებში ჩამოსხმა. მათ იცოდნენ ვერცხლის ოქროთი დაფარვა, ისე რომ თანამედროვე მეტალურგები ამას აკეთებენ ელექტროლიზის საშუალებით. ამერიკის კონტინენტის კოლუმბისწინა ცივილიზაციებსაც ჰქონდათ ერთი საერთო ნიშანთვისებების ქვის ნაგებობები და სკულპტურები. მათ შეეძლოთ ყველაზე მაგარი ქვის დამუშავება, მაშინ როცა თანამედროვე ინსტრუმენტებით შეიარაღებული სპეციალისტები ამას გაჭირვებით ახერხებენ. ამერიკის კონტინენტზე დღემდე არ არის აღმოჩენილი რკინის და ფოლადის ინსტრუმენტი. ნაპოვნია ბევრი სპილენძის და ბრინჯაოს ნაკეთობა, მაგრამ ამ რბილი ლითონებით მაგარი ქვების დამუშავება შეუძლებელია. როგორც ცნობილია რკინა დროთა განმავლობაში ჟანგდება და ქრება, ისე რომ კვალსაც არ ტოვებს.

დღეს ჩვენ ვიცით, რომ ძველი ეგვიპტელები რკინას იყენებდნენ, თუმცა ფარაონ ტუტანჰამონის აკლდამაში ნაპოვნი რკინის საგნების აღმოჩენამდე არც ერთი ეგზემპლარი არქეოლოგებს არ შეხვედრიათ.

967 წელს ამერიკის კონტინენტზე მისულ ვიკინგებს უეჭველად ჰქონდათ ფოლადის სამეურნეო ნივთები და იარაღი. მათთვის ათასხუთასი წელი მაინც იყო დამთვარებული ბრინჯაოს ეპოქა. იმ მცირე დროის განმავლობაში, რაც მათ მექსიკაში გაატარეს, არ მოხერხდა ესწავლებინათ ინდიელებისათვის რკინის მოპოვება და დამუშავების ტექნოლოგია, რომელიც გაცილებით რთულია, ვიდრე რბილი მეტალების დამუშავება. ის რკინის ნაკეთობები, რომლებიც მათ დარჩათ ამერიკის კონტინენტზე 500 წლის განმავლობაში (კოლუმბის მისვლამდე) განადგურდებოდა.

პერუში ესპანელებს დატყვევებული ინკა ატაულპას გამოსახსნელად 6 ტონა ოქრო და 12 ტონა ვერცხლი მიუტანეს, ხოლო აცტეკების ბელადის მონტესუმას ხაზინაში ორტონანახევარი ოქროს ნაკეთობები ინახებოდა.

საერთოდ პერუში ძვირფასი ლითონების მოპოვება-დამუშავება მაღალ დონეზე იყო, აქ ეს პროცესი სამრეწველო დონეზე ხდებოდა.

დღევანდელი მეცნიერები ცდილობენ პასუხი გასცენ კიდევ ერთ კითხვას. დაუშვათ, რომ ევროპაში კოლოსალური ტაძრების მშენებლობისთვის საჭირო ვერცხლს ტამპლიერები მექსიკიდან ღებულობდნენ ლაროშელის ნავსადგურში, მაგრამ სად წავიდა მათი 17 გემი, რომელზეც დატვირთული იყო მათი ქონება და საიდუმლო არქივები, ის რომ მათ იცოდნენ ცენტრალური ამერიკის არსებობა ეჭვს არ იწვევს. ისინი მჭიდრო კავშირში იყვნენ ვიკინგების შთამომავლობასთან.

როდესაც სიტუაცია დაიძაბა და საფრანგეთის მეფის და რომის პაპის კავშირი მათ მოსპობით დაემუქრა, ორდენის რაინდებმა დაიწყეს ფიქრი საიმედო თავშესაფრის ძებნაზე, მათი არჩევანი მექსიკის ნაპირებზე შეაჩერეს. უეჭველია ტამპლიერები ფიქრობდნენ, რომ ეს მათი დროებითი თავშესაფარი იყო და მდგომარეობა გამოსწორდებოდა მაგრამ ეს არ გამართლდა. ორდენი სამუდამოდ გაქრა. ოკეანისგან იზოლირებულთ მათ შეეძლოთ მოეკლათ წყურვილი დაპყრობითი ოპერაციებისგან და მათი სარწმუნოების დანერგვისგან, მაგრამ დრო მიდიოდა და გარდაცვალებულთა ადგილს არავინ იჭერდა. მათი ნაპირზე გადასვლიდან 50 წლის შემდეგ მექსიკაში არც ერთი თეთრი ადამიანი აღარ იყო.

**დასასრული. დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ბორჯომი“ №25, 2023წ.**

**თამაზ ჩიკვაიძე**

## ჟურნალისტის სვეტი

# დაილოცოს სიახლის მომგონი




**ბორჯომი რომ პატარა ქალაქია და აქ რომ ყველა ყველას იცნობს, ეს საყოველთაოდაა ცნობილი. არც ერთმანეთის პატივისცემა ეშლებათ და არც გულისტკენა ავიწყდებათ. ჩვენს ქალაქში სიკეთით სავსე ადამიანები უფრო მეტია, ვიდრე ავი და ბოროტი. თანადგომაც ეხერხებათ და სიკეთის დანახვაც კარგად იციან. აი, ამ „ნამეტანი პატივისცემის“ ამბავს ეხება ჩემი სათქმელიც.**

**ტსაქალაქო ავტობუსით მგზავრობა ხომ ერთი დიდი მოსაყოლი ამბავი გახლავს ბორჯომში და მეც მოგიყვებით. განსაკუთრებით იმ მიმართულებით, სადაც ტრანსპორტის ღირებულება 20 თეთრია. დიახ 20 თეთრი და ამაზე როგორ არ უნდა გაამახვილო ყურადღება ადამიანმა და როგორ არ უნდა იამაყო, რომ ჩემ ქალაქში შიდა მუნიციპალური ტრანსპორტი უმეტესი მიმართულებით სწორედაც რომ 20 თეთრი ღირს. ჰოდა ამ „სანაქებო 20 თეთრი-ს გამო ხდებოდა ის ამბები, რაც ხდებოდა წლების მანძილზე ჩვენ, „პატივცემულ“ მუნიციპალურ ტრანსპორტში. სწორედ იმ დროს, როდესაც ტრანსპორტში დაახლოებით 7-8 მეზობელი მოიყრიდა თავს. აი მაშინ, ერთ-ერთი ნაცნობი მეზობელი აღმოჩდებოდა სწორედ ის ერთი კეთილის მსურველი და პატივისმცემელი, ვინც ასვლისთანავე მგზავრობის საფასურს გადაუხდიდა სამეზობლოს და კმაყოფილი სახით იკავებდა თავის ადგილს, თან მოაძახებდა უკვე ადგილებზე მსხდომთ - თქვენი ყველასი გადახდილიაო. თუმცა მეორე სერია ბოლო გაჩერებაზე იწყებოდა, როდესაც მგზავრების ჩასვლის ჯერი დგებოდა და ყველა ერთი ფრაზით ჩადიოდა გაჩერებული ტრანსპორტიდან: - ჩემი გადაიხადეს, ჩემი გადაიხადეს! აი მერე კი იწყებოდა, რაც იწყებოდა. განსაკუთრებით „ნერვებდაწყვეტილი“ მძღოლების ბრაზიანი მოძახილი, - რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ყველამ საკუთარი გადაიხადოს, რით ვერ გაიგეთ ხალხო, მე სად დაგთვალოთ და გაკონტროლოთ, ვინ ვისას იხდის? ჰოდა, ამ ყვირილსა და წივილკივილში მაინც შეწუხებულ-ღიმილიანი სახით უწევდათ მგზავრებს ტრანსპორტის დატოვება. თუმცა, ყოველ ჯერზე მაინც ანალოგიური გრძელდებოდა. მეც პირადად, რამდენჯერ მიგრძნია თავი უხერხულად იმ „სანაქებოდ“ გადახდილი 20 თეთრიანის გამო, რომელიც ნაცნობ-მეზობელს გადაუხდია ჩემთვის. უხერხულადვე შემიწევია სიტყვა - გმადლობთ მე თვითონ გადავიხდი ჩემსას, არ შეწუხდეთ-თქო, მაგრამ ვინ იყო ჩემი გამგონი?**

**რამდენჯერ მინატრია, ისეთი კონტროლი შემოიღოთ რომ ყველა იძულებული გამხდარიყო საკუთარი მგზავრობის საფასური თვითონ გადაეხადა... და თურმე ოცნებები ხდება. რამდენიმე თვის წინ, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა საოცარი და ყველასთვის მისაღები რეფორმა დანერგა, ისევე როგორც დიდ ქალაქებში, სადაც ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდას ყველა სახელფასო და მგზავრობისთვის განკუთვნილი სამგზავრო ბარათით შეძლებდა. წინასწარ გამოაკრეს საინფორმაციო ბარათები ტრანსპორტში და დაამონტაჟეს სპეციალური გადახდის აპარატები, რათა მოსახლეობა სიახლეს მომზადებული შეხვედროდა. სანამ რეფორმა ძალაში შევიდა, გახარებულმა და ბედნიერმა ბევრჯერ ვკითხე მძღოლებს, როდიდან შევძლებთ ბარათით მგზავრობის საფასურის გადახდას-თქო და მპასუხობდნენ, რაც შეიძლება მალე შეძლებთ და ჩვენც დავისვენებთ და თქვენცო. ჰოდა აგერ უკვე ორ თვეზე მეტია, ბორჯომის მუნიცი-**



**პალიტეტში მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საბარათე სისტემა შევიდა ძალაში, ტრანსპორტში მომღიმარი კონტროლიორებიც გვხდებიან და ვისაც სჭირდება მგზავრობის საფასურის გადახდაშიც ეხმარებიან. მართლაც დავისვენეთ მგზავრებმაც და დაისვენეს მძღოლებმაც, რომლებიც ისედაც სტრესული სამუშაოს ფონზე კიდევ მეტ სტრესს იღებდნენ ამ უმართავი გადახდის სისტემის გამო. ჰოდა ახლა უკვე, როდესაც მუნიციპალურ ტრანსპორტში ავდივარ, თავი ცივილურ სამყაროში მგონია. იხდი მხოლოდ საკუთარი მგზავრობის საფასურს და თავს მშვიდად გრძნობ. დიახ, გარკვეული ნაბიჯები ნამდვილად გადადგმულია იმ კუთხით, სადაც ადამიანებმა უკვე ზუსტად იციან საჭირო ადგილზე კულტურულად მოქცევა, რაც ნამდვილად უმნიშვნელოვანესი რამაა. ეს ნამდვილად კულტურის ერთი ნაწილია. დაილოცოს ამ სიახლის მომგონი.**



# ვულოცავთ!

ჩვენო ჟუჟო ბებო, ჩვენო ოჯახის ბურჯო. 3 შვილის, 8 შვილიშვილის და 14 შვილთაშვილის გამზრდელო, მოგილოცავთ დაბადების დღეს, 22 ივნისს. კიდევ ბევრი შვილთაშვილები გაგეზარდოს და ჯანმრთელად და ბედნიერად გაცოცხლოს ღმერთმა 100 წელი შენს დიდ ოჯახთან ერთად.

**თაბუკაშვილების ოჯახი.**



დაბადებიდან 80 წლისთავს ვულოცავთ ბორჯომის საპატიო მოქალაქეს, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგს, კარგი შვილებისა და მრავალი თაობის აღმზრდელს, ქალბატონ **მარიკა მურმანიშვილს** და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს.

**ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა**

ბორჯომის საპატიო მოქალაქეს, ქალბატონ **მარიკა მურმანიშვილს**, 22 ივნისს, დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ქალბატონი მარიკა 30 წლის მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა განათლების განყოფილების მეთოდურ კაბინეტს, დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში.

დიდხანს სიცოცხლეს და ღვთის წყალობას ვუსურვებთ ქვეყნის წინაშე ამაგდარ პედაგოგს.

**მეგობრები**

# საინტერესო ღონისძიება ბიბლიოთეკაში



**15 ივნისს,** ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, სტუმრად იმყოფებოდნენ №6 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეები **(კლასის ხელმძღვანელი ლია გელაშვილი)**, რომლებმაც წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია **„ჩემი ვეფხისტყაოსანი“.**

მოსწავლეებმა შესანიშნავად გაართვეს თავი მათთვის რთული ტექსტების თხრობას და მხატვრულ კითხვას.

„საბიბლიოთეკო გაერთიანება“ მადლობას უხდის ქალბატონ ლია გელაშვილს, მოსწავლეთა მშობლებს და მოსწავლეებს შესანიშნავი ღონისძიებისათვის.

# მადლობა ღირსეულ პედაგოგებს



**15 ივნისს** ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გაიმართა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ვოკალურ ანსამბლ „ონავრების“ საანგარიშო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ასევე ლიტერატურულმა თეატრმა „მთიებმა“ და რომლის ხელმძღვანელიც გახლავთ საქმის უბადლო მცოდნე, უნიჭიერესი ქალბატონი **ციური გელაშვილი.**

გვინდა ლიტერატურულ თეატრ „მთიების“ წევრების მშობელთა სახელით უდიდესი მადლობა გადავუხადოთ ქალბატონ **თამრიკო კუჭაძეს** და ლიტერატურულ თეატრ „მთიების“ ხელმძღვანელს **ციური გელაშვილს** ჩვენი შვილების ღირსეულად მომზადებისათვის, ქართული სიტყვის მაღალ დონეზე წარმოჩენისათვის. ვუსურვებთ, რომ კიდევ მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერად ეშრომოთ მომავალი თაობების ღირსეულად და სიყვარულით აღზრდისათვის.

**მოსწავლეთა მშობლები**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.

იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

## სპორტი

# რესპუბლიკური ტურნირი მძლეოსნობაში

16-18 ივნისს ქალაქ ბათუმში ჩატარდა კარლო გიორგაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მძლეოსნობაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ბორჯომის სასპორტო სკოლის გუნდმა (მწვრთნელი **ვალერი ჭადანი**). სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში მოასპარეზე სპორტსმენებს შორის ბორჯომელთაგან ადგილები ასე გადანაწილდა.

**ვაჟებს შორის:**

I ადგილი - **ანდრია მაისურაძე** - 500 მეტრი;

I ადგილი - **დანიელ გასიშვილი** - 300 მეტრი;

II ადგილი - **ნიკოლოზ გელაშვილი** - 300 მეტრი.

**გოგონებს შორის:**

I ადგილი - **ელენე მელიქიძე** - 400 მეტრი;

II ადგილი - **თამარ ბენდელიანი** - 800 მეტრი;

სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა **დანიელ ჩუმაშვილი**, როგორც შეჯიბრების ყველაზე უმცროსი ასაკის მოასპარეზე.

## რა? სად? როდის?

# გაიმარჯვეს ბაკურიანელმა ინტელექტუალებმა

**ბორჯომის საჯარო სკოლებს შორის ინტელექტუალური თამაშის - რა? სად? როდის? გაზაფხული-ზაფხულის სეზონი დასრულდა.**



გამარჯვებული ბაკურიანის საჯარო სკოლის გუნდი „ალციდები“ გახდა. სეზონის საუკეთესო მოაზროვნის ტიტული კი ამავე გუნდის წევრმა გიორგი მაისურაძემ მოიპოვა. მას აღნიშნული ტიტულის მოპოვებისათვის გარდამავალი ბროლის ბუ გადაეცა.

გამარჯვებული გუნდი გარდამავალი ბუს ქანდაკებით, სიგელებითა და წიგნებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა** დააჯილდოვეს. საკრებულოს წევრმა და ბორჯომში „მეგატექნიკის“ მაღაზიის მფლობელმა **დავით შონიამ** საჩუქარი გადასცა.

მეორე და მესამე ადგილი №3 და №1 საჯარო სკოლების გუნდებმა გაინაწილეს.

საპატიო სიგელები გადაეცა ფინალში მოთამაშე ყველა გუნდის წევრს.

ინტელექტუალურ თამაშებს საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე **მამუკა ლურსმანაშვილი** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მიმდინარე სეზონზე შეჯიბრში 50 გუნდი და 300-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. ფინალში ბროლის ბუს მოპოვებისათვის კი 15 გუნდი იბრძოდა.

ინტელექტუალური თამაშის ორგანიზატორია ბორჯომის მუნიციპალიტეტი, საბიბლიოთეკო გაერთიანება და ბორჯომის ინტელექტუალური კლუბი. თამაშის უცვლელი წამყვანი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ბორჯომის ინტელექტუალური კლუბის ხელმძღვანელი **გიორგი ფერაძეა.**

ინტელექტუალურ თამაშებს მთელი სეზონის განმავლობაში ტრადიციულად №3 საჯარო სკოლამ უმასპინძლა.

# ბიბლიოთეკა მისი მეორე ოჯახია

**ქალბატონი ნაირა ალხაზიშვილი - ა(ა)იპ ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების, საბიბლიოთეკო საქმის კოორდინატორია.**



იგი მრავალი წელია ბიბლიოთეკაში მუშაობს. იყო რიგით თანამშრომელი, წლების მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა საბიბლიოთეკო გაერთიანებას.

მისი ინიციატივით ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან შეიქმნა ბორჯომელ შემოქმედთა კლუბი, სადაც გაერთიანებული არიან ბორჯომელი მწერლები და პოეტები. ამ კლუბს დაარსებიდან დღემდე ბორჯომელი მწერალი **ხათუნა ურჩაძე ხელმძღვანელობს.** ამ პერიოდშივე, ბიბლიოთეკის ინიციატივით შეიქმნა ინტელექტუალური კლუბი **„რა? სად? როდის?“,** რომელიც დღემდე აქტიურად განაგრძობს მუშაობას.

ასევე, მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა პროექტი **„ოჯახი, სკოლა, ბიბლიოთეკა“,** რომლის ფარგლებში, ყოველ თვე მკითხველები, პედაგოგები, მშობლები და ბიბლიოთეკის მუშაკები იკრიბებიან და ერთობლივად ზრუნავენ მომავალი თაობის წიგნის სიყვარულის პროპაგანდისათვის.

მისივე ხელმძღვანელობის პირობებში, ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების ინიციატივით საინტერესო ღონისძიებები გაიმართა, სადაც მოწვეულები იყვნენ ცნობილი მწერლები, პოეტები, ხელოვანები და საზოგადო მოღვაწეები.

ნაირა ალხაზიშვილის თქმით, კულტურული ღონისძიებების და პოეტური საღამოების ერთ-ერთი მიზანი ბიბლიოთეკაში მკითხველის მოზიდვაა, რამაც შედეგი გამოიღო.

მისი თქმით, ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში 23 ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყურადღებას აქცევს საბიბლიოთეკო მუშაობას და ყოველთვის აძლევს საშუალებას ბიბლიოთეკა გამდიდრდეს ახალი გამოცემებით და პერიოდიკით.

საბიბლიოთეკო გაერთიანების ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარი ახალგაზრდა ბიბლიოთეკარებს მეთოდურ დახმარებასაც უწევს.

- დღეს, განვითარებული ტექნოლოგიების ეპოქაში, ხშირად მოისმენთ, რომ წიგნი შეცვალა კომპიუტერმა. ჩემთვის რთულია ამ მოსაზრებაზე დათანხმება, რადგან ჩვენ გვყავს ერთგული მკითხველი, მათ შორის ძალიან ბევრი ახალგაზრდაა, რომლებისთვისაც წიგნი ნამდვილად შეუცვლელია. ჩვენი მიზანია, ახალგაზრდებს ბიბლიოთეკა დავანახოთ ისეთ ადგილად, სადაც შეძლებენ განავითარონ საკუთარი ინიციატივები, - ამბობს ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარი.

# სამძიმარი ჩვენი კოლეგის ოჯახს



13 ივნისს, პირველი არხის, სამცხე-ჯავახეთის ბიუროს ოპერატორი **რობიზონ მაქაძე** გარდაიცვალა. 40 წლიანი მუშაობის შემდეგ, ბოლო კადრები მან ადიგენში, სეტყვის დროს გადაიღო.

რობიზონ მაქაძე საქართველოს პირველ არხზე 1983 წლიდან მუშაობდა, 1996 წლიდან კი სამცხე-ჯავახეთის ბიუროს ოპერატორი იყო. ამ დროის მანძილზე არაერთი მოვლენა თუ ფაქტი მოხვედრილა მისი კამერის ობიექტივში.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის ჟურნალისტები თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს მისი გარდაცვალების გამო.

დაე, ღია ყოფილიყოს მისთვის სასუფევლის კარი და ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს მის სპეტაკ სულს.

# მიშიკო ოგანეზოვის გახსენება



განგებამ ასე ინება,რომ მუდამ ახალგაზრდა ყოფილიყავი, ჩვენო საყვარელო ბიჭო! შენი სიცოცხლე მაშინ შეწყდა, როდესაც ირგვლივ ყველაფერი ყვავის, მომავალი სინათლით და იმედებითაა სავსე და სანატრელი სიჭაბუკე თავბრუდამხვევი ოპტიმიზმის ძალას აფრქვევს. ასეთად დარჩი ჩვენს მახსოვრობაში, ჩვენს გონებაში და გულებში. ზაფხულივით სიცოცხლით სავსე იყავი და ამ ლამაზ დროს დაბადებული, ასეთივე მხურვალე გული და ლამაზი ოცნებები გქონდა.

ტკბილ-მწარე გახდა ახლა ეს დღე ჩვენთვის, 23 ივნისი, შენი დაბადების დღე. მოგონებები თავბრუს გვახვევს - პირველი ნაბიჯები, საბავშვო ბაღი და სკოლა, სიჭაბუკე... მაგრამ შემდეგ ელვასავით დაგვივლის - გვერდით აღარ გვყავხარ... და განა რა გაანელებს ამ უსაშველო მონატრებას და შეუცვლელ დანაკარგს? არც არაფერი. აქედან გილოცავთ, ჩვენო მიშიკო, ღმერთის ებარებოდეს შენი სული!

**შენი ოჯახი**